სპორტი

29.IV–5.V. 1995 წ. ● №15 (10926)

ფასი 600 რუბლი, ან 150 000 კუპონი.

გამოდის 1912 წლის 13 აპრილიდან

UEFA Euro 96 England

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

საქართველო–ალბანეთი 2–0

ფრაგმენტები მატჩიდან: შოთა არველაძემ (ბურთით მარცხენა ფოტოზე) და თემურ ქეცბაიამ (მარჯვენა ფოტოზე) განსაკუთრებით დაგვამახსოვრეს თავი მეტოქის კარში გატანილი გოლებით. იყო ასეთი მომენტებიც (ფოტო ქვემოთ).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

26 აპრილი. თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო (ეროვნული ნაკრები) — ალბანეთი (ეროვნული ნაკრები) 2-0. მსაჯები: რ. ლუინგი, რ. ოვერკლიფტი, ტ. ვან დეიკი, სარეზერვო — ფ. სტერკი (ყველანი ჰოლანდიიდან). უეფას დელეგატი: გ. კრუტელევი (ფინეთი).

საქართველო: დევაძე, ღუდუშაური, კუდინოვი, შელია (ლობჟანიძე), ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული, ქეცბაია, ყიზილაშვილი (ა. არველაძე), შ. არველაძე; **ალბანეთი:** სტრაკოშა, ადრიანი, საიმირი, ჯუმბა, ვატა, კაჩაი, კუშტა (დოსტი), ფორტუზი (პრენგა), დალიპი, რაკლი, დემოლარი. გაფრთხილებულია ჯუმბა.

ვერა და ვერ მოახერხა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ერთი ოფიციალური მატჩი მაინც ჩაეტარებინა ოპტიმალური შემადგენლობით. ამჯერად ტრავმირებულ ნემსაძეს გუნდის წამყვანი ძალა — ცხადაძე და ქინქლაძე შეემატნენ. ამას თუ დავუმატებთ ჭკუიშვილის საერთოდ ნაკრებიდან წასვლას (მან რუსეთის მოქალაქეობა მიიღო), ადვილი მისახვედრია რა პრობლემების წინაშე იდგა ალექსანდრე ჩივაძე გუნდის შემადგენლობისა და სათამაშო ტაქტიკის განსაზღვრისას. მით უმეტეს, რომ სტუმრები არცთუ ისე ხელწამოსაკრავი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ: მანამდე ალბანელებს ძლივს მოუგო ორჯერ გერმანიის ნაკრებმა ერთბურთიანი სხვაობით, ხოლო წინა თვეს მათ მოლდოველები გაანადგურეს. მიუხედავად ამისა, სტუმრები, რასაკვირველია, ჭულის აღებასაც უაბულს იქნებოდნენ. ამიტომ მათ წინა ხაზზე მხოლოდ კუშტა მიავლინეს (სათამაშო სქემა: 5-4-1), რაც შეეხება ჩვენებს, მათ სამი მცველით, ხუთი ნახევარმცველითა და ორი თავდამსმელითი ითამაშეს, რითაც თავიდანვე აგრძნობინეს მეტოქეს თავისი აგრესიული ზრახვები. მატჩი იღლიანად დაიწყო: უკვე 65-ე წამზე შ. არველაძე მშვენივრად შეიჭრა სტუმართა საჯარიმო მოედანში და ზუსტადვე დაარტყა, 1:0. საფიქრალი იყო, რომ ჩვენები განვითარებდნენ ამ წარმატებას, მაგრამ ქეცბაიას, შოთა არველაძის დარტყმებს დამაჯერებლად დახვდა სტრაკოშა. ამასობაში სტუმრები გონს მოეგნენ და რამდენიმე შეტევაც განახორციელეს. დასამახსოვრებელი იყო დემოლარის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა: ბურთი სანტიმეტრებში აცდა „ცხრიანს“.

ტაიმის ბოლო წუთებზე კვლავ გააქტიურდნენ ქართველი ფეხბურთელები. ერთ-ერთი შეტევისას ქეცბაია, რომელმაც მშვენივრად ჩაატარა შეხვედრა, „კედლის“ გათამაშებით შეიჭრა ალბანელთა საჯარიმო მოედანში და ზუსტი დარტყმით კიდევ უფრო დაწინაურა თავისიანები (43-ე წუთი), 2:0.

ჩათვალა რა საქმე მოთავებულად, საქართველოს ნაკრებმა მატჩის მეორე ნახევარში თავს უფლება მისცა დაეგდო ტემპი, რითაც ისარგებლეს ალბანელებმა და რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტიეს. განსაკუთრებით გაუჭირდათ მასპინძლებს მას შემდეგ, რაც მინდორი მათმა კაპიტანმა შელიამ დასტოვა. საბედნიეროდ, ყოველივე კარგად დამთავრდა.

მაშ ასე, რაც მთავარია, მოპოვებულია სამი ქულა და შეძენილია გამოცდილება, რომელიც მომავალ ბატალიებში ესოდენ გამოადგება საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელებს.

დასასრულს გვინდა შევასრულოთ ჩვენი კოლეგის „რადიო ტირანას“ სპორტული კომენტატორის ფატმირ მენერის თხოვნა და მადლობა ვუძღვნათ საქართველოს კავშირგაბმულობისა და ტელე-რადიოს მესვეურებს, რომლებმაც დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს და თამაშამდე სულ რაღაც ორიოდე საათით ადრე მოახერხეს ალბანეთისთვის რადიორეპორტაჟის მიწოდება.

ჯემალ ჭიპაშვილი

გია გიორგაძე — ყველას ძლეველი

კროპოტკინში (კრასნოდარის მხარე) დამთავრდა გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ფესტივალის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ბრწყინვალედ ასპარეზა ჩვენმა თანამემამულემ გია გიორგაძემ (რეიტინგით 2590 ქულა): მოგო ორი შეხვედრა, ხუთი უაიმით დაამთავრა, დააგროვა 4,5 ქულა და პირველი ადგილი დაიკავა. გიორგაძემ დამარცხა პოლულიახოვი (რუსეთი, 2450) და სმბატლუპუტიანი (სომხეთი, 2630), უაიმით დამთავრა შეხვედრები ლიაოშ პორტიშთან (ჩუნგრეთი, 2585), ჯონათან სპილმენთან (ინგლისი, 2610), სერგეი ტივაკოვთან (რუსეთი, 2625), ვიტალი ცეშკოვსკისთან (რუსეთი, 2530) და ვლადიმერ მალანიუკთან (უკრაინა, 2615).

საბოლოოდ ადგილები ამ ტურნირში ასე განაწილდა: 1. გიორგაძე — 4,5 ქულა, 2. პორტიში — 4,3. სპილმენი — 4,4. ტივაკოვი — 4, 5. ცეშკოვსკი — 3,5, 6. პოლულიახოვი — 3,7. ლპუტიანი — 2,5, 8. მალანიუკი — 2,5.

სტატისტიკის მოყვარულთ შევახსენებთ, რომ ტურნირი გაიმართა 12-20 აპრილს კროპოტკინში და იყო XIV კატეგორიისა. მონაწილეთა საშუალო რეიტინგი — 2579 ქულა).

რამდენი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს უკრაინაში?

„ლელოს“ მკითხველები ინფორმირებული არიან, რამდენი ქართველი ფეხბურთელი გამოდის რუსეთის უმაღლეს ლიგაში. დღეს საშუალება გვაქვს უკრაინის უმაღლეს ლიგას გადავხედოთ, სადაც 18 კლუბი მონაწილეობს.

კიევის „დინამოში“ ამჟამად არცერთი ქართველი არ თამაშობს. მიხეილ ჯიშკარიანი გადავიდა პირველი ლიგის უძლიერეს კლუბ „ბორისფენში“, რომელიც შემოდგომიდან, ეტყობა უმაღლეს ლიგაში მოხვდება. ამ კლუბს ჩვენი ძველი ნაცნობი მიხეილ ფომენკო წვრთნის.

„სკ ნიკოლაევის“ ნახევარდაცვაში თამაშობს ბრუნჯაძე, რომელიც ერთხანს ბათუმის „დინამოში“ გამოდიოდა. როვნოს „ვერესში“, რომელიც სატურნირო ცხრილის შუაგულშია, ახალი სეზონიდან ჩაირიცხნენ მცველი ხვადაგიანი და თავდამსხმელი ჭოლოკავა (თამაშობდნენ თბილისის „შევარდენში“), აგრეთვე სოხუმის „ცხუმის“ თავდამსხმელი გადელია. ლუგანსკის „ზარია-მალსში“ თამაშობენ თბილისის „შევარდენიდან“ გადასული მცველები დიმიტრიშვილი და კვიტატიანი, აგრეთვე თავდამსხმელი ფოცხვერია.

კრემენჩუკის „კრემენში“, რომელიც ასევე სატურნირო ცხრილის შუაგულშია, თამაშობს კავთელაძე. შეპტოვკას „ტემპი“ კი სანახევროდ ქართული გუნდია. აქ თამაშობენ საქართველოს ნაკრების წევრები მცველი ჩიხრაძე და ნახევარმცველი გაბისკირია, აგრეთვე ტყუში ძმები ტარიელ და ავთანდილ კაპანაძეები (შუა ხაზზე), კიდევ ერთი ნახევარმცველი რუსია და თავდამსხმელი ჯულული.

ვინ იცის, იქნებ ზოგი ქართველი გამოგვრჩა კიდეც...

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

დადგა ჭამი ფინალებისა!

დასასრულს მიუახლოვდა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების სამივე გათამაშების ორწლიანი ციკლი. მაისის თვე, როგორც ყოველთვის, გადამწყვეტი ხასაა, ჩემპიონთა ლიგაშიც, თასების მფლობელთა თასზეც და უეფას თასზეც. სწორედ გაზაფხულის ამ ნათელ თვეს იმართება ფინალები, გამარჯვებულები იზეიმებენ თავიანთ დიდ წარმატებას, შინ წაიღებენ სანუკვარ პრიზებს, დამარცხებულები კი, დამარცხებულები კვლავ მომავლის იმედით დარჩებიან. მათი ხვედრი მუდამ ასეთია — მომავლის იმედი.

საქვეყნოდ ცნობილი ფრანგი ფეხბურთის სპეციალისტისა და ჟურნალისტის გაბრიელ ანოს და გაზეთ „ეკიპის“ ორიგინალური იდეას რეალური დასაბამი მიეცა 1955 წელს, როცა ევროპის ქვეყნების ჩემპიონები ჩაებნენ ამ დიდად საინტერესო და პრესტიჟული შეჯიბრების პირველ გათამაშებაში, მცირე ხნის შემდეგ, კერძოდ, 1960 წელს ამავე ტურნირის ანალოგიით დაწესდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება, უფრო ადრე 1955 წელს

იხ. მე-3 გვ.

ჩემპიონთა ლიგა. 24 მაისი, ვენა

„აიაქსი“ — „მილანი“

თასების მფლობელთა თასი. 10 მაისი, პარიზი

„არსენალი“ — „სარაგოსა“

უეფას თასი.

3 მაისი — პარმა, 17 მაისი — ტურინი

„პარმა“ — „იუვენტუსი“

კალათბურთი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. თბილისის სპორტის სასახლე. უძლიერესთა ეჭვსეულის მატჩები.

IV ტური: „ზოტა“-„თორსი“ 75:74, „კაქტუსი“-„მერანი“ 106:74, „ვითა“-„დინამო“ 105:71. V ტური: „ზოტა“-„მერანი“ 80:73, „ვითა“-„თორსი“ 117:62, „კაქტუსი“-„დინამო“ 76:73.

პირველი ნახევარფინალები: „კაქტუსი“-„მერანი“ 104:76, „ვითა“-„დინამო“ 102:71.

„სპორტი მიყვარს, განსაკუთრებით ბუნებაში გაჭრილი“, — ამბობდა დიდი მწერალი ლევან გოთუა

გამოჩენილი ქართველი მწერალი და მთამსვლელი ლევან გოთუა სიამოვნებით იხსენებდა ბავშვობის წლებს და წერდა: „ბავშვობიდანვე მამამ მიმაჩვია მოგზაურობას, მოგზაურობისას გეოგრაფიულ დაკვირვებებს, ადგილის ისტორიის ძიებას, ხალხში გაბნეული მადლიანი ქართული სიტყვების შეკრებას... შემიძლია ვთქვა, რომ მთელი საქართველო, მისი მთა-ბარი ფეხით მაქვს მოვლილი და ამ გზით მრავალი ლიტერატურული და სხვა შემეცნებითი მასალაა შეგროვილი“.

ბატონ ლევანს სიყრმიდანვე დაჰყვა მშობლიური ლიტერატურისა და სპორტის — მთამსვლელობის ტრფიალი, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე არ განელებია მისი სიყვარული. — სპორტი მიყვარს, — წერდა მწერალი, — განსაკუთრებით ბუნებაში გაჭრილი. ახალგაზრდობაში მთამსვლელობას ვეტრფოდი. პირველი ასვლებიც მაქვს კავკასიონზე, შემდეგ მღვიმეებსა და ქვაბულებში დავდიოდი... ჩემი მთამსვლელობაც და მღვიმეთმსვლელობაც ლიტერატურულ თემად აკინძულან და თავი უჩენიათ ჩემს „მგზავრულ კრიალოსანში“, სხვა ნარკვევებშიც...

მართალია, ლ.გოთუა ცურვასა და ტანვარჯიშშიც მარჯვე იყო, მაგრამ მოგზაურობა-მთამსვლელობა მას განსაკუთრებით იტაცებდა და შემთხვევითი არ ყოფილა, რომ მეგობრობდა მამაც მთამსვლელებს ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებს. ბატონ ლევანის პირველი გამარჯვებები მთამსვლელობაში დაკავშირებული იყო ალიოშა ჯაფარიძის სპორტულ მოღვაწეობასთან.

ლ.გოთუამ 1937 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა ყაზბეგის რაიონულ ალპინიადაში — ხდის ხეობიდან შავანის მთავარ მწვერვალებზე, რომლის შემდეგაც დაწერა მოთხრობა „ხდე დალეულნი“. ეს ნაწარმოები მაშინვე პოპულარული გახდა მთამსვლელთა შორის. მალე ბატონმა ლევანმა უფრო გაბედული ნაბიჯი გადადგა, იგი მყინვარწვერის მახლობლად, მწვერვალ მაილზე ავიდა (4601 მ) და გააოცა თანამოკალმე მწერლები.

1938 წელს კი ზესხოს ხეობის ტრავერსში მონაწილეობდა ფასის მთიდან წურუნგალამდე. სწორედ ამ ასვლის შემდეგ რუკაზე გაჩნდა მწვერვალების ახალი სახელები: „ზესხო“, „სულხან-საბა ორბელიანი“, „კოტე მარჯანიშვილი“, „ეგნატე ნინოშვილი“ და სხვ.

შეუპოვრობა და გაბედულობა გამოამჟღავნა მწერალმა 1946 წელს თუშეთის კავკასიონზე დიკლოს მთაზე ასვლის დროს, მერე იქვე, მახლობლად ადგილობრივ მკვიდრებსაც გაეცნო და შეაგროვა ისტორიულ-ფოლკლორული მასალები.

ომის წლებში ბატონმა ლევანმა, სხვა მთამსვლელებთან ერთად, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში. 1943 წელს ჯგუფთან ერთად მან დალაშქრა აღმოსავლეთ კავკასიონის სიმაღლეები: არხოტიდან მოეწყო ასვლა მწვერვალ „კიდეგანის მაღლობზე“ და იქვე ახლოს ერთ-ერთ უსახელო მაღლობზეც, რომელსაც შემდეგ, მწერლის წინადადებით, დაერქვა ვაჟა-ფშაველას სახელი. ამ საინტერესო მოგზაურობის შემდეგ კი მწერალმა დაგვიწერა მოთხრობა „ვაჟა-ფშაველას სამყაროში“.

ფასდაუდებელია ბატონ ლევანის ღვაწლი ხელოვნური გამოქვაბულებების კვლევასა და შესწავლაში. მართო ის რად ღირს, რომ მან თრეხვის გამოქვაბულში აღმოაჩინა სტელა ლეონტი მროველის წარწერით, რომელიც უთუოდ დიდი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

1957 წელს, სექტემბერში ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო მთამსვლური ლაშქრობა წიწამურიდან მყინვარწვერამდე ლევან გოთუასა და ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ეს ლაშქრობაც, სერიოზული სიძნელეების მიუხედავად, წარმატებით დამთავრდა.

ზოგიერთ მწვერვალზე, მაგალითად, დიდგორის ქედის უმაღლეს წერტილზე მწერალი-ალპინისტი ბევრჯერ ყოფილა.

ლევან გოთუას არაერთი ნაწარმოები, რომელიც მთამსვლელობას ეხება, ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ალპინისტი, იგი სპორტულ მოღვაწეობასთან ერთად უნდა სწავლობდეს მშობლიურ მხარეს, სარგებლობა მოჰქონდეს საზოგადოებისთვის მივიწყებული და ახლად აღმოჩენილი ძეგლების შესწავლით.

შალვა მარკოზაშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი. ს. საგურამო.

ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ გვარი კარგადაა ცნობილი ჭიდაობის სამყაროში. ძმების, გივის და დათოს ფუძეჩაყრილ ტრადიციას ახლა აგრძელებს დათოს ვაჟი ვანო, რომელიც ნიუ-იორკის ერთ-ერთ კოლეჯში სწავლობს და საჭიდაო ხალიჩაზეც წარმატებით გამოდის. ახლახანს ფილადელფიაში გაიმართა აშშ-ს ღია ჩემპიონატი სამბოში ჭაბუკების, ახალგაზრდებისა და ვეტერანების მონაწილეობით. ახალგაზრდებში ვანო ყვარელაშვილმა (68 კგ) პირველი ადგილი მოიპოვა. ჩემპიონი გახდა აგრეთვე რუსთაველი ბესიკ ბასილაშვილი (+100), ჭაბუკებში — თბილისელი ლერი მარგიანი (48).

— ვეტერანებში კვლავ გაიბრწყინა დათო ყვარელაშვილის სახელმა. 100 კგ წონით კატეგორიაში ჩვენი ფალავანი აშშ-ს ჩემპიონი გახდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა აგრეთვე მევლუდ ჩხაიძე (62), მეორე იყო სპარტაკ გიორგაძე (74).

ჩემპიონატში აშშ-ს, რუსეთის, კანადის, იაპონიის, საქართველოს, მოლდოვას და ლიტვის სამი თაობის ფალავნები მონაწილეობდნენ.

ᲮᲣᲗᲘᲗ ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲑᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐᲖᲚᲕᲘᲡᲐᲘᲠᲔᲗᲘᲡ თამაშების საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტმა კლოდ კოტერმა განაცხადა, რომ მომდევნო საუკუნის პირველი ასპარეზობა გაიმართება **2001** წელს ტუნისში. სულ ცოტა ხნის წინ ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა კონგრესზე საზეიმო ვითარებაში დაფიქსირდა ისრაელისა და პალესტინის ინტეგრაცია თამაშებში.

●

ᲡᲘᲝᲜᲨᲘ (შვეიცარია), **2002** წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მოწყობის მსურველ ქალაქში საინსპექციო ვიზიტით იმყოფებოდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი — ოთხმოცკაციანი ჯგუფი. სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქისა და მისი შემოგარენის სპორტული ბაზები და აღნიშნეს, რომ სიონს თამამად შეუძლია უმასპინძლოს ოლიმპიადას. შეგახსენებთ, რომ ანალოგიური სურვილი აქვს კიდევ სამ ქალაქს — სოლტ-ლეიკ-სიტის (აშშ), კვებეკს (კანადა) და ესტერსუნდს (შვეცია). ვის გაუღიმებს ბედი, გადაწყდება **16** ივნისს, ბუდაპეშტში.

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲪ ᲩᲐᲔᲠᲘᲝᲡ

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ მსოფლიოს ოთხგზისა და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, სუპერმძიმე წონის ბელარუსი ძალოსანი ალექსანდრე კურლოვიჩი, რომელიც ამჟამად გერმანიის ქალაქ სამსვეგენში ცხოვრობს და ადგილობრივი კლუბის ღირსებას იცავს, მხილებულია დოპინგის მიღებაში.

გერმანიის ძალოსნობის ფედერაციამ პროფილაქტიკის მიზნით კურლოვიჩს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და დააჯარიმა 2 000 მარკით.

საერთაშორისო ფედერაციის სანქციების თანახმად, კურლოვიჩს ავტომატურად ერგება ორწლიანი დისკვალიფიკაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ატლანტის ოლიმპიური თამაშები 1996 წელს უნდა გამოტოვოს. არადა, სპორტსმენს აქვს ყველა შანსი გახდეს მსოფლიოში პირველი მძიმე წონის ძალოსანი, რომელსაც მოგებული ექნება ზედიზედ სამი ოლიმპიადა.

კურლოვიჩი, როგორც მოგახსენეთ, სამსვეგენში ცხოვრობს და ამ ქალაქის კლუბის ღირსებას იცავს, თორემ ოლიმპიურ თამაშებზე მან, ბუნებრივია, უნდა წარმოადგინოს თავისი შშობლიური ქვეყნის ბელორუსის ინტერესები. სწორედ ამიტომ ვარაუდობენ, რომ ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო თხოვნით მიმართავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს, რომ დამნაშავეს შეუმცირონ სასჯელი, რათა მან შესძლოს ატლანტაში გამოსვლა.

ᲡᲣᲞᲔᲠᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ? ᲜᲣᲠᲐᲡ ᲨᲔᲪᲐᲪᲠᲐᲕᲐᲓ!

მას შემდეგ, რაც პროფესიული საჭადრაკო ასოციაცია დაარსდა გარი კასპაროვის ხელმძღვანელობით, ამ ახალ ორგანიზაციასა და ფიდეს შორის მკვეთრად მტრული ურთიერთობა გაჩაღდა და ეს არც არის გასაკვირი. ამას დაემატა ძველი „ანგარიშები“ ფიდეს პრეზიდენტ ფლორენსიო კამპომანესსა და გარი კასპაროვს შორის, რომელსაც კასპაროვი აბრალებდა აშკარა კორუფციას და საბჭოთა კავშირის მაშინდელი კომუნისტური ხელმძღვანელობის ინტერესების შესაბამისად მსოფლიო პირველობაზე მატჩის ჩაშლას ანატოლი კარპოვთან. საყოველთაოდ ცნობილი გახდა საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის მესვეურთა თითქმის აშკარა განცხადება: „ჩვენ უკვე გვყავს მსოფლიო ჩემპიონი (კარპოვი), სხვა მსოფლიო ჩემპიონი (იგულისხმებოდა, ცხადია, კასპაროვი) აღარ გვესაჭიროება“.

ᲡᲐᲓᲐᲣᲠᲡᲐ ᲡᲐᲚ ᲬᲐᲘᲔᲕᲐᲜ...

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲐᲚᲐᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲠᲘᲕᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ

აპრილის ბოლოს საფრანგეთის ქალაქ ბეზანსონში გაიმართება ევროპის მორიგი ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

ამ დღეებში გამოცხადდა რუსეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა, რომელშიც შეყვანილია ორი ქართველი მოჭიდავეც: 90 კგ წონით კატეგორიაში გუნდის ღირსებას დაიცავს **გოგი კოლუაშვილი, 100 კგ-ში კი თეიმურაზ ედიშერაშვილი.** კოლუაშვილი ნაკრებში მოსკოვს წარმოადგენს, ედიშერაშვილი კი ვორონეჟს.

11-14 მაისს ფრინბურგში (შვეიცარია) ევროპის ჩემპიონატს თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გაითამაშებენ.

XXX

5 მაისს ბერლინში დაიწყება მოკრივეთა მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი, რომლისთვისაც გულმოდგინედ ემზადებიან სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი ათლეტები. რუსეთის ნაკრების შემადგენლობა, რომელშიც ორი ჩვენი თანამემამულეა შეყვანილი, დამტკიცდა ჯერ კიდევ მარტში შერჩევითი შეჯიბრების დრო. სპეციალისტთა აზრით, გუნდის ლიდერები არიან: რაიმკულ მალახბეკოვი (54 კგ), ევროპის 1993 წლისა და რუსეთის ბოლო სამი წლის ჩემპიონი **რამაზ ფალიანი (57 კგ), პაატა გვასალია (60 კგ),** სერგეი კარავაევი (71 კგ), ალექსანდრე ლებზიაკი (75 კგ) და სუპერმძიმეწონისანი ალექსეი ლეზინი.

სპეციალისტთა ვარაუდით, მთავარი ბრძოლა გუნდური გამარჯვებისთვის გაიმართება რუსეთისა და კუბის ნაკრებებს შორის. თუმცა, ანგარიშგასაწევია საფრანგეთის, უაზახეთის, უზბეკეთის, უკრაინის, ბელარუსის, ტაილანდისა და აშშ-ს ცალკეულ მოკრივეთა შესაძლებლობებიც. რუსეთის კრივის ფედერაციის მესვეურთ მიაჩნიათ, რომ გუნდის ყველა წევრს შეუძლია გახდეს პრიზიორი, ერთიორ სპორტსმენს კი ძალუძს უმაღლეს ჯილდოსაც გამოკრას ხელი.

ᲗᲐᲕᲘᲡ მრავალრიცხოვან ინტერვიუებში კასპაროვი ირწმუნებოდა, რომ კამპომანესი სწორედ ამ სპორტკომიტეტმა მოისყიდა და ისიც ყველაფერს აკეთებდა, რასაც იქიდან დაავალებდნენ. ურთიერთობა ფიდეს ხელმძღვანელსა და კასპაროვს შორის მაშინაც კი არ გამოსწორებულა, როცა კასპაროვმა არაერთგზის დაამტკიცა თავისი ისტორიული მეტოქე კარპოვი და მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ხოლო ცივი ომი სრულიად აშკარაში მაშინ გადაიზარდა, როცა კასპაროვმა დააარსა „პროფესიული საჭადრაკო ასოციაცია და პირველი მატჩიც გამართა მსოფლიო პირველობაზე ნაიჯელ შორტთან. სწორედ მაშინ იყო, რომ ფიდეს პრეზიდენტის განკარგულებით კასპაროვისა და შორტის გვარები რეიტინგ-ლისტიდან ამოიღეს და არც მათი მატჩი აღიარეს კანონიერად. ამის საპირისპიროდ მოეწყო კარპოვის შეხვედრა იან ტიმანთან და მსოფლიო ჩემპიონად კარპოვი იქნა აღიარებული.

და აი რამდენიმე წლის ომის შემდეგ, გასულ შემოდგომაზე, ძალზე მოულოდნელი ამბები მოხდა, რომლის მრავალი დეტალი დღესაც არ არის ცნობილი. დავიწყოთ იმით, რომ ფიდე შემოდგომისათვის მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ საბერძნეთმა, რომელსაც დეკემბერში სალონიკში საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადა უნდა გაემართა (და ადრე იმის პრეტენზიაც კი ჰქონდა, რომ ყოველ ოთხ წელინადში ერთხელ ამ ოლიმპიადის გამართვა სწორედ მისთვის უნდა დაევალებინათ), ბოლო მომენტში ფინანსური სიძნელეების გამო ამ ღონისძიების გამართვაზე უარი განაცხადა. ოლიმპიადა მსოფლიო პირველობის მატჩებთან ერთად ფიდეს მთავარი ღონისძიებაა და მისი არჩატარება თუ გადატანა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის სრული მორალური კრახის ტოლფასი იყო.

ერთი სიტყვით, საბერძნეთმა უარი განაცხადა, სხვა პრეტენდენტი კი ამ მოკლე დროში არ გამოჩნდა. ასეთ სიტუაციაში დახმარება მოვიდა იქიდან, საიდანაც არავინ ელოდა. თითქმის უნუგეშო სიტუაციაში მყოფ კამპომანესს (რომელსაც ამასობაში პრეზიდენტის უფლებამოსილობის ვადა გასდიოდა და ხელახლად არჩევას თითქოს აღარავინ აპირებდა) დახმარების ხელი გაუწოდეს ყალმუხეთის პრეზიდენტმა მილიარდერმა კირსან ილიუმჟინოვმა, რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა, ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, იურისტმა ანდრეი მაკაროვმა და... თვით გარი კასპაროვმა.

როგორც ილიუმჟინოვმა განაცხადა, მას სათანადო ფინანსური შესაძლებლობები კი აქვს, მაგრამ ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში ჯერ კიდევ არ არის პირობები ასეთი მასშტაბის ღონისძიების მოსაწყობად. ამიტომ სჯობს ოლიმპიადა მოსკოვში მოეწყოს იმ პირობით, რომ 4 წლის შემდეგ იგი სწორედ ელისტაში გაიმართება. რაც შეეხება 1996 წლის საჭადრაკო ოლიმპიადებს, ისინი ერევანში უნდა გაიმართოს და სომხეთმა, როგორც ადრე ვწერდით, შეიტანა კიდეც სათანადო ბე ერთი მილიონი შვეიცარიული ფრანკის რაოდენობით. კამპომანესი, გასაგებია, სიამოვნებით გამოეხმაურა ამ წინადადებას და ოლიმპიადაც მოსკოვში გაიმართა. ამის სანაცვლოდ ფიდემ სცნო რუსეთის ახალი საჭადრაკო ფედერაცია მაკაროვის ხელმძღვანელობით და ამდენად აღარ აღიარა ადრე არსებული სხვა საჭადრაკო ფედერაცია, რომელსაც ოსტატი ევგენი ბეჭიუკი ხელმძღვანელობს. კიდევ ერთი დათმობა კამპომანესის მხრივ ის იყო, რომ კასპაროვისა და შორტის გვარები ფიდეს რეიტინგ-ლისტში აღადგინეს. თავის მხრივ, კასპაროვმა და მისმა მოკავშირეებმა დიდად შეუწყვეს ხელი იმას, რომ კამპომანესი ალარ გადაირჩიეს და რწმუნების ვადა მას კიდევ ორი წლით გაუგრძელდა.

ერთი სიტყვით, „ცივი ომი“ ფიდესა და პროფესიულ საჭადრაკო ფედერაციას შორის თითქოს დამთავრდა. ორივე მხარემ გარკვეული სარგებლობა მიიღო, რაც მთავარია, გადარჩა ოლიმპიადა, დაისახა გეგმები სამომავლოდ. რა თქმა უნდა, ორივე ორგანიზაციას ბოლომდე უნდა მიეყვანა მსოფლიო პირველობების ადრე დანყებული ციკლი, ჩატარებინა მატჩები მსოფლიო პირველობაზე, შემდეგ კი დაიწყებოდა ლაპარაკი 1996 წლის სუპერმატჩზე ორ გამარჯვებულს შორის. რა უნდა ყოფილიყო ამის საბოლოო შედეგი? ერთი მსოფლიო ჩემპიონის გამოვლენა და ორი საჭადრაკო ფედერაციისა თუ ასოციაციის შერწყმა, ერთი სიტყვით, საჭადრაკო სამყაროში სრული წესრიგის დამყარება.

ეს გეგმები, იცოცხლეთ, კარგი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მას განხორციელება არ უწერია. ფიდემ, რახან ოლიმპიდა არ ჩაუვარდა და ეს ტვირთი თავიდან მოიშორა, ეტყობა, გადაწყვიტა, რომ კასპაროვის მხარეს ძალზე ბევრი რამ დაეთმო. თებერვალში ანატოლი კარპოვმა, ვალერი სალოვმა და გატა კამსკიმ ერთობლივი განცხადება გააკეთეს, სადაც აღნიშნული იყო, რომ ისინი გამოავლენენ თავიანთ შორის უძლიერესებს, მას კი არაფერი ესაქმება ფიდესაგან განდგომილ გარი კასპაროვთან. საინტერესოა, რომ ამ განცხადებას მხოლოდ ვიშვანათან ანანდი არ შეუერთდა, რომელმაც განაცხადა, რომ თუ კასპაროვთან თამაშის უფლება მოიპოვა (რაც მოგვიანებით გაჟკეთა), შეხვდება კიდეც მას. ერთი სიტყვით, ლაპარაკი რაღაც მომავალი სუპერმატჩის შესახებ, ფიდეს წარმომადგენელთა მხრიდან შეწყდა. რაც შეეხება ფიდეს მიერ აღიარებულ კიდევ ერთ მსოფლიო ჩემპიონს რობერტ ფიშერს, რომელმაც ოცწლიანი დუმილის შემდეგ 1992 წლის შემოდგომაზე, როგორც იყო, ითამაშა მატჩი ბორის სპასკისთან, მისი მდგომარეობა საერთოდ გაურკვეველია. ფიშერი არ ცნობს არც კასპაროვს და არც კარპოვს, თავიანთი მხრივ, არც ისინი ცნობენ მას. ასეთ ვითარებაში, როგორც მას სჩვევია, მეტად მკვეთრი განცხადება გააკეთა გარი კასპაროვმა, რომელიც ახლა ანანდთან შესახვედრად ემზადება. მან თქვა, რომ გისად სუპერმატჩი რომ შედგეს კიდეც, იგი თავის შესაძლებელ მეტოქეს (ე. ი. კარპოვს ან კამსკის) მიიჩნევს არა თანასწორუფლებიან პარტნიორად, არამედ, პრეტენდენტად. აქედან გამომდინარე სპორტული თუ ფინანსური შედეგებით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „პრეტენდენტმა“ (ე. ი. მეორე მსოფლიო ჩემპიონმა) აუცილებლად უნდა მოიგოს ეს მატჩი, კასპაროვს კი თავისი წოდების შესანარჩუნებლად ყაიმიც ეყოფა! ერთი სიტყვით, ეს განცხადება მომავალი სუპერმატჩის სრულ დასამარებას ნიშნავს იმიტომ, რომ კასპაროვთან ასეთ არათანაბარ პირობებში არავინ ითამაშებს.

როგორც ვხედავთ, „ცივი ომი“ ფიდესა და პროფესიულ საჭადრაკო ასოციაციას შორის კვლავ განახლდა, როდემდე?

გიგი გამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი XXIII ტური

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 6-1
„ივერია“ (ხაშური) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 2-1
„დილა“ (გორი) — „კახეთი“ (თელავი) 5-0
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „დინამო“ (თბილისი) 0-1
„გურია“ (ლანჩხუთი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 0-2
„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 3-2
„დინამო“ (ბათუმი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 3-1
„დინამო“ (ზუგდიდი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3-0 (სტუმრები თამაშზე არ გამოცხადდნენ).

აი, როგორია სადღეისოდ სატურნირო ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„სამტრედია“ (სამტრედია)	23	19	1	3	61-21	58
„დინამო“ (თბილისი)	22	18	2	2	89-24	56
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	22	16	3	3	49-15	51
„დინამო“ (ბათუმი)	23	11	5	6	54-33	41
„მეტალურგი“ (რუსთავი)	23	11	6	6	38-24	39
„ტორპედო“ (ქუთაისი)	23	11	2	10	41-36	35
„დინამო“ (ზუგდიდი)	23	10	3	10	42-37	33
„დილა“ (გორი)	23	9	5	9	20-23	32
„ივერია“ (ხაშური)	23	8	3	12	35-37	27
„გურია“ (ლანჩხუთი)	23	7	5	11	32-56	26
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	23	7	5	11	26-36	26
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	23	6	5	12	17-41	23
„კახეთი“ (თელავი)	23	5	7	11	25-43	22
„საპოვნელა“ (თერჯოლა)	23	5	4	14	27-60	19
„დურუჯი“ (ყვარელი)	23	5	1	17	19-57	16
„სამგურალი“ (წყალტუბო)	23	3	5	15	21-52	14

ტურის მთავარ ინტრიგას წარმოადგენდა შეხვედრა ბათუმში. მოგების შემთხვევაში „სამტრედიას“ თბილისის „დინამოსთან“ კვლავ ხუთჭოლიან დისტანციას ინარჩუნებდა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მატჩის შედეგი მასპინძელთათვისაც: წარმატების შემთხვევაში ისინი „მეუხრუჭებდნენ“ სამტრედიელთა წინსვლას და შესაძლებლობას უქმნიდნენ თბილისელებს დასწეოდნენ ლიდერს. ბათუმელებს აწყობთ, თუ პირველ ადგილს თბილისელები დაიკავებენ: ასეთ შემთხვევაში აჭარის ფეხბურთელები როგორც თასის ფინალისტები, შედეგის მიუხედავად, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ისახარებენ.

ბუნებრივია, ტურის ეს ცენტრალური შეხვედრა მეტად დაძაბულ ვითარებაში წარიმართა, გამოცდილ არბიტრს შ. ხანიშვილს დიდი ჯაფა დაადგა, რათა დაეშოშმინებინა ვნებათაღელვანი. სამტრედიელი ფეხბურთელები გამომწვევად იქცეოდნენ, არ ერიდებოდნენ აშკარა უხეშობას, ხშირად ეკამათებოდნენ მსაჯებს. ამასაც არ დასჯერდნენ — ზაზა ჯანაშიამ ფიზიკური ანგარიშსწორება დაუწყო შ. ხანიშვილს, რისთვისაც, ცხადია, დაუყოვნებლივ გაძევებული იქნა მინდვრიდან. ამგვარი დანაშაული უეფას კოდექსით ერთწლიან დისკვალიფიკაციას და მოზრდილ ფულად ჯარიმას ითვალისწინებს. ზ. ჯანაშიას უდისციპლინობა ძვირად დაუჯდა არა მარტო სამტრედიის გუნდს, არამედ, საერთოდ, ქართულ ფეხბურთისაც: ჯერ იყო და მიმდინარე საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე იგი საქართველოს ახალგაზრდული (ოლიმპიური) ნაკრების ერთ-ერთ შეკრებაზე არ გამოცხადდა, რისთვისაც სასტიკად გაკიცხეს, პირობითი დისკვალიფიკაციაც მისცეს, მერე საქართველოსა და უელსის ოლიმპიელთა გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დროს კვლავ დააღალატა თანამოძმეები (ხულიგნური საქციელის გამო გაძევებული იქნა მინდვრიდან), რისთვისაც უეფამ „გამოუწერა“ ჯარიმა 4 ათასი შვეიცარიული ფრანკის ოდენობით და 4 თამაშით დისკვალიფიკაცია. ახალგაზრდა ფეხბურთელი ახლა მაინც უნდა დაფიქრებოდა თავის საქციელს და სათანადო დასკვნები გამოეტანა, მაგრამ ნურას უკაცრავად: ერთი თვის წინ თერჯოლაში, ეროვნული ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში, უვითელი ბარათი დაიმსახურა და გუნდს სწორედ მაშინ გამოაკლდა, როდესაც ყველაზე უფრო სჭირდებოდა. — თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ განმეორებით სათასო მატჩში...

თბილისის „დინამომ“ მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ზესტაფონში და დაკარგული ქულებით გაუსწრო „სამტრედიას“. გულშემატკივრებს ვაცნობებთ, რომ მეჩვიდმეტე ტურის გამოტოვებული შეხვედრა ფოთის „კოლხეთი-1913“-სა და თბილისის „დინამოს“ შორის გაიმართება 1 მაისს. თბილისელები ხაშურის „ივერიასთან“ კი XXV ტურის მატჩს 4 მაისს ითამაშებენ. აქვე გაუწყებთ, რომ თბილისელთა გუნდი კიდევ ერთმა ცნობილმა ფეხბურთელმა დატოვა: წლევანდელ საფეხბურთო სეზონში მიხეილ ყველაშვილი ვლადიკავკაზის „სპარტაკში“ ითამაშებს რევაზ შვილის, შელიას, თეთრაძის, გრიშიკაშვილის გვერდით.

უაღრესად მწვავე ბრძოლაა გაჩაღებული სატურნირო ცხრილის ქვემო ნაწილშიც. თითქმის რვა გუნდს (!) აქვს „შანსი“ აღმოჩნდეს ჯგუფიდან გავარდნილთა სიაში. როგორ სამწუხაროა, რომ მათ შორის იმყოფება ლანჩხუთის „გურიაც. გარდა იმისა, რომ მძიმე ფინანსურ კრიზისს განიცდის, „გურიაში“ ძალიან დაბალ დონეზე დგას დისციპლინა. უიღბლოდ თამაშობენ ყვარელელები, რომლებმაც მეორე წრის 8 ტურში ვერც ერთი ქულა ვერ აიღეს (!). უჭირთ მათს მეზობლებს თელაველებსაც. სამაგიეროდ, შესაშჩნევად გამოცოცხლდა „სამგურალი“, რასაც პირველ რიგში, უკავშირებენ ახალგაზრდა ენერგიული მწვრთნელის სოსო ფრუიძის გუნდში მოსვლას.

დადგა ჟამი ფინალებისა!

(დასაწყისი 1-ელ გვ.)

დასაბამი მიეცა უეფას თასს, რომელსაც თავდაპირველად ბაზრობათა თასის გათამაშება ერქვა და დიდი საერთაშორისო ბაზრობების ქალაქებში ეწყობოდა. ეს ევროტურნირები თავიანთი მნიშვნელობითა და რეიტინგით ასეთი თანმიმდევრობითაა აღიარებული: 1. ჩემპიონთა თასი, 2. თასების მფლობელთა თასი, 3. უეფას თასი. თვით ეს პრიზები ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა შტაბბინაში ინახება მუდმივად, გამარჯვებულები კი სამუდამო მფლობელობაში იბარებენ თასის ასლს და თვალის ჩინივით უფრთხილდებიან მათ. გათამაშება იწყება აგვისტოს ბოლოს და შემდგომი წლის მაისში მთავრდება, მეტოქეები წილისყრით ხვდებიან ერთმანეთს შინ და სტუმრად, წყვილებში გამარჯვებულებად ითვლებიან ისინი, ვისაც ქულათა თანაბრობის შემთხვევაში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა აქვთ, ამასთან, მეტოქის მინდორზე გატანილი გოლი მეტად ფასობს (მაგალითად, 1:0 და 1:2). ბურთების თანაბრობის შემთხვევაში სტუმრად გატანილი გოლის მნიშვნელობა გადამწყვეტია.

შემდგომში, ევროპის ანალოგიით, ზუსტად ასეთივე გათამაშებები დაწესდა სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, აზიაში და, საერთოდ, საკლუბო ტურნირები საერთაშორისო ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა. მერე და მერე, როცა „მადა ჭამაში მოვიდა“, შემოიღეს სუპერთასისა და საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებები. თუმცა, იყო წლები, როცა ეს შეჯიბრებები საერთოდ არ გამართულა. სხვათა შორის, საკონტინენტთაშორისო თასის მატჩები მადრიდის ცნობილ „რეალის“ ინიციატივით დაწესდა — ერთმანეთს ხვდებიან ევროპის ჩემპიონი — სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი.

ამ მცირე ექსკურსის შემდეგ თავს ნებას მივცემთ გადავიდეთ წლევანდელ გადამწყვეტ მატჩებზე, მოვიხსენიოთ ფინალისტები, გახვიხილოთ მათი საგარაუდო შესაძლებლობანი. მკითხველს კვლავ და კვლავ სიამოვნებით შევახსენებთ, რომ თბილისის „დინამომ“ 1981 წელს ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ნ. ახალკაცის ხელმძღვანელობით და შინ დააბინავა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი.

ჩემპიონთა ლიგა
„აიაქსი“ — „მილანი“
24 მაისი, ვენა

ორი აზრი არ შეიძლება იყოს: ამ ტურნირის ფინალში კონტინენტის ორი ჭეშმარიტი გრანდი გავიდა: „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) და „მილანი“ (იტალია), გუნდები, რომლებიც წარსულ წლებში არაერთხელ ფლობდნენ ამ პრიზს, ჰოლანდიელები სამჯერ, ხოლო მილანელები — ხუთჯერ, თანაც ისინი ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს ფინალში 1969 წელს, თასი მაშინ „მილანმა“ მოიგო — 4:1. ვინ გაიმარჯვებს? ძნელზე ძნელი სათქმელია. ორივე ფინალისტმა გზად მეტად ძნელი მეტოქეები დაამარცხა, ამიტომაც მათი საუკეთესო ფორმა და სიძლიერე ეჭვს არ იწვევს, ამასთან, საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი აღორძინებული „აიაქსის“ ძალას, მან ნახევარფინალის საპასუხო მატჩში საკუთარ მინდორზე ნამდვილი შავი დღე გაუთენა თვით მიუნხენის „ბაიერნს“ — 5:2, ხოლო პირველი შეხვედრა სტუმრად ფრედ დაამთავრა (0:0).

იმავე ნახევარფინალში „მილანმა“ ორჯერ სძლია საფრანგეთის ჩემპიონს „პარი სენ-ჟერმენს“, სტუმრადაც (1:0) და შინაც (2:0). კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

ვინ გაიმარჯვებს? ძალზე ძნელია ამ შარადაზე პასუხის გაცემა, წილადობილას ჯობია დაველოდოთ 24 მაისს და ტელევიზიით საკუთრივ ვიხილოთ ვენის სტადიონის კატაკლიზმები. ვფიქრობთ, მეტოქეები თანაბარი ძალისა არიან.

თასების მფლოგელთა თასი
„არსენალი“ — „სარაგოსა“
10 მაისი, პარიზი

მკითხაობა აქაც ძალიან გაგვიჭირდება. ორივე კლუბმა ნახევარფინალს რის ვაინაჩრობით დააღწია თავი. ესპანელებმა შინ პირწმინდად მოუგეს ინგლისის „ჩელსის“ (3:0), ლონდონში კი წააგეს (1:3) და ფინალს სწორედ იმ ერთადერთი გატანილი ბურთის წყალობით მიაღწიეს, მაგრამ კიდევ უფრო ძნელი იყო განთქმული „არსენალის“ გზა, რომელმაც ლონდონში ძლივსძლივობით გაიმარჯვა იტალიის „სამპდორიასთან“ — 3:2, მერე კი უაღრესად დრამატულ ვითარებაში ზუსტად ასეთივე ანგარიშით დაძარცხდა გენუაში. ფინალის ვიხილავ მხოლოდ დამატებითი 11-მეტრიანებით მოიპოვა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ანგარიში აქაც „ტრადიციული“ იყო — 3:2. „არსენალს“ მისმა მეკარემ დევიდ სიმენმა უშველა, რომელმაც სამი 11-მეტრიანი მოიგერია. ეს ძალზე იშვიათი, უნიკალური ამბავია — 3 პენალტის აღება ერთ სერიაში. ასე რომ, ინგლისელთა ნალოლიავებ იმედს ფინალში თავიანთი ორი გუნდი ეხილათ, აღსრულება არ ეწერა.

ვინ გაიმარჯვებს? წადი და იმარჩიელ! აქაც 10 მაისს უნდა დაველოდოთ, პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონს.

უეფას თასი
„პარმა“ — „იუვენტუსი“
3 მაისი — პარმა, 17 მაისი — ტურინი

ეს წმინდა საშინაო იტალიური ფინალია, პრიზი ყოველნაირ ვარიანტში აპენინის ნახევარკუნძულზე დარჩება იტალიელ „ტიფოზებს“ გასახარად.

„იუვენტუსი“ წარსულ წლებში ძალზე ძლიერი, საქართველოდ ნიჭიერებული გუნდი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში მისმა საერთაშორისო ავტორიტეტმა საგრძნობლად იკლო, ძველმა კორიფეებმა (სალვადორე, ანასტასი, სპინოზი, კაპელო, ლანდინი, ბეტეგა და სხვანი) კარგა ხანია დატოვეს სარბიელი, „პარმამ“ კი, პირიქით, სწორედ ბოლო პერიოდში მიაღწია დიდ წარმატებას, 1993 წელს თასების მფლობელთა თასიც მოიგო და, ახლა, ცხადია, ყოველნაირად შეეცდება ხელიდან არ გაუშვას ფინალის ეს საუკეთესო შანსი.

ასე რომ, წინ ევროტურნირების 4 უაღრესად საინტერესო, დაძაბული მატჩი მოგველის (როგორც იცით, უეფას თასზე ფინალისტები ჯერჯერობით ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს, შინ და სტუმრად, მაგრამ მომავალი წლიდან აქაც თითო ფინალი გათამაშდება).

გოლო რეიტინგი — საქართველო მეასეა!

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მარტში გამართული საერთაშორისო შეხვედრების საფუძველზე გამოაქვეყნა ეროვნული ნაკრები გუნდების ახალი რეიტინგები. პირველი ათეული გამოიყურება ასე:

1. ბრაზილია — 66,26 ქულა; 2. იტალია — 62,04; 3. ესპანეთი — 61,29; 4. გერმანია — 60,53; 5. შვეიცია — 60,43; 6. ნორვეგია — 59,24; 7. ჰოლანდია — 59,02; 8. არგენტინა — 58,66; 9. მექსიკა — 57,69; 10. რუმინეთი — 57,04.

ალბათ საინტერესოა როგორ განაწილდნენ ამ სიაში სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკები:

17. რუსეთი — 51,50
60. ლიტვა — 31,56
73. ლატვია — 25,71
82. უკრაინა — 23,61
85. უზბეკეთი — 23,26
100. საქართველო — 18,02
112. მოლდავეთი — 13,76
115. ესტონეთი — 13,05
116. თურქმენეთი — 13,01
120. ბელარუსი — 12,44
144. სომხეთი — 6,37
148. აზერბაიჯანი — 5,57
157. ყაზახეთი — 2,97
160. ტაჯიკეთი — 2,69
168. ყირგიზეთი — 0,70

ზღვარგადასული გულშემატკივრობა სასიკეთოდ არასოდეს მთავრდება

ევროპის **1996** წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ინგლისში ჩატარების საკითხი ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ამის მიზეზი კი ინგლისელი ფანატი გულშემატკივრები არიან, რომელთა თავშეუკავებელმა საქციელმა მართლაც რომ ყოველგვარ საზღვრებს გადააბიჯა.

წარსულის ფაქტებს რომ შევეშვათ, მარტო წლეულს მომხდარი „საგმირო“ საქმეებიც კმარა, რომ ინგლისიდან ჩემპიონატის გადატანის მხარდამჭერთა აზრები გაიზარო. ჯერ იყო და დუბლინში, ირლანდიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩის დროს მოაწყვეს ინგლისელმა „ფანატებმა“ მასობრივი შეხლა-შემოხლა, შემდეგ კი ბრიუგეში, თასის მფლობელთა თასის მეოთხედფინალში ლონდონის „ჩელსის“ სტუმრობისას ჩაატარეს დეგოლაციები სერია. სწორედ ამ ამბების ავანჩავანებს უნდა „უმადლოდნენ“ ინგლისელები, მათ ქვეყანაში ევროპის ჩემპიონატის ჩატარება რომ სათუო გახდა. აპრილში ესპანეთის ქალაქ სარაგოსაში გაიმართა თასის მფლობელთა თასის ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ „სარაგოსასა“ და ზემოთ ხსენებულ ლონდონის „ჩელსის“ შორის. ლონდონიდან გუნდს, 3 ათასი გულშემატკივარი ჩაყვა, ჩაყვა და თანაც როგორ! თვითმხილველები იუწყებიან, რომ ინგლისელი გულშემატკივრები მატჩამდე, ასე თუ ისე, კაცურად იქცეოდნენ, თუ არ ჩავთვლით მათ მიერ ლუდის ბარებში ხმაურიან „გართობებს“ და ათამდე „ფანატის“ გაუჩინარებას, რომლებიც პოლიციამ დააპატიმრა. მატჩის პირველი ნახევარიც შედარებით ცივილიზებული კანონებით რგულშემატკივრეს ინგლისელებმა, რომლებისთვისაც სპეციალურად გამოყოფილი იყო სექტორი „ჩელსის“ გოლკიპერის კევინ ხიჩკოკის კარის უკან.

სასწაული მას შემდეგ დაიწყო, როცა 25-ე წუთზე სარაგოსელებმა მეორე გოლი გაიტანეს, ხოლო შემდეგ, 56-ე წუთზე, ხუან ესნაიდერმა ანგარიში სამამდე გაზარდა და ინგლისელებს მოგების ყველა შანსი გადაუწურა. „ფანატებმა“ პოლიციელებს და ესპანელ გულშემატკივრებს ლუდის ბოთლები და მათ მიერვე დამტვრეული სკამების ნაწილები დაუშინეს. პოლიციელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ხელკეტებით, 10 წუთში დააშშმინეს ამრევები, ცამეტი მათგანი კი მატჩის წინ დაკავებულ ათეულს მოუსვეს გვერდით.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ სარაგოსას პოლიციამ ინგლისელი გულშემატკივრები, სპეციალური ავტობუსებით სტადიონს გაუშორა, მაგრამ ახლა ქალაქის ცენტრსა და სხვა უბნებში ატყდა უმოწყალო ცემა-ტყეპა.

„ჩელსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა კოლინ ხატჩინსონმა, ყველასათვის მოულოდნელად, მომხდარში ესპანელების კლუბის ხელმძღვანელობა დაადანაშაულა, აქოდა, ბილეთები ინგლისელ გულშემატკივრებზე მხოლოდ ჩვენი მეშვეობით უნდა გაეყიდათო. ასეა თუ ისე, ახლა უეფას უტყუარი არგუმენტებით დიდი შესაძლებლობა აქვს სამაგალითოდ დასჯის ინგლისელი გულშემატკივრები.

მოკლედ

● **გერმანიის** ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, **26** წლის შტეფან ეფენბერგი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის დროს გაგდეს გუნდიდან, მწვრთნელის ბერტი ოგოგსის აზრით, უღირსი საქციელისათვის მოინჰენგლადბახის ლუთერანული ეკლესიის წინამძღვარმა მიიწვია ქადაგებისათვის. ეფენბერგი მრევლს მოუთხრობს ღერთთან თავისი ურთიერთობის შესახებ. წინამძღვრის აზრით, „შტეფანი უპატიოსნესი ადამიანია, რომელიც მუდამ იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს“.

● **ალბანეთის** ეროვნული ჩემპიონატის დროს მორიგი თავდასხმა მოხდა მსაჯზე. ქალაქ პატოსში „ფლამურტარის“ გუნდის წევრებმა შეუტიეს მსაჯს მას შემდეგ, რაც სტუმრები — „ალბეტროლის“ ფეხბურთელები დაწინაურდნენ ანგარიშით **3:1**. თამაში შეწყდა მთელი **12** წუთით. არბიტრი კი პოლიციამ დაიცვა, ვინაიდან ეს არ იყო პირველი შემთხვევა, მსაჯებმა გადაწყვიტეს მოაწყონ გაფიცვა, თუ მათი უსაფრთხოება არ იქნა გარანტირებული.

რა ხდება ქვეყანაზე

● **კანადელმა** ჰოკეისტმა უეინ გრეცკიმ ნჰლ-ს უფროსი დროის სნაიპერთა დავაში შესანიშნავი შედეგი აჩვენა — **2500** ქულა, რაც უნიკალური მსოფლიო რეკორდი გახლავთ. გრეცკის გატანილი აქვს **813** შაიბა და გაკეთებული აქვს **1687** საგოლე პასი. მეორე ადგილზე მყოფი გორდი ჰოუ ლიდერს შესამჩნევად ჩამორჩება — **1850** ქულა (**801** შაიბა, **1049** პასი). ნჰლ-ს სნაიპერთა ხუთეულში არიან, აგრეთვე, მარსელ დიონი — **1771** (**731** და **1040**), ფილ ესპოზიტო — **1590** (**717** და **873**) და სტენ მიკოტა — **1467** (**541** და **926**).

● **მსოფლიოში** ერთ-ერთი უკეთესი ძველი (წლეულს **99**-ჯერ მოეწყო) და პრესტიჟული ბოსტონის მარათონი კენიის ღია პირველობას უფრო ჰგავდა, ვინაიდან ათეულში ამ ქვეყნის ექვსი წარმომადგენელი მოხვდა. ვაუებში გაიმარჯვა კოსმას იდეტიმ (კენია) — **2:09.22**, ქალებში — უტა პიპიგმა (გერმანია) — **2:12.56**.

● **ცნობილი** ბრიტანელი პილოტი, **1993** წლის მსოფლიოს ჩემპიონი ნაიჯელ მენსელი, რომელიც ბოლო დროს „ინდიკარის“ ამერიკულ სერიაში გამოდიოდა, ისევ დაუბრუნდა „ფორმულა-1-ს“. მიმდინარე სეზონში იგი შეჯიბრებაში ჩაებმა მხოლოდ მესამე ეტაპიდან (სან-მარინოს „გრან-პრი“), რომელიც **30** აპრილს გაიმართება იმოლაში.

● **ოლიმპიური** თამაშების სამგზის ჩემპიონი და მსოფლიოს თასის ამდენივეგზის მფლობელი, **30** წლის შვეიცარიელი სამოთმოთხილამურე ფრენი შნაიდერი (მოგებული აქვს თასის **54** ეტაპი) თავს ანებებს სპორტს. ერთ-ერთი უველაზე ტიტულოვანი სამთომოთხილამურე მსოფლიოში, გაატარებს აქტიურ საქმიანობას... ბიზნესში. მას აქვს სპორტული საქონლის ორი მაღაზია, ერთი მშობლიურ ელმში, მეორე — გლარუსუში.

● **მსოფლიოს** ექსჩემპიონებს კრივში მაიკ ტაისონსა და მოჰამედ ალის გადაწყვეტილი აქვთ მოიზახულონ ისლამის წმინდა ადგილი საუდის არაბეთში. ამასთან დაკავშირებით უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა პრინცმა ფაისალ იბნ ფახდმა.

რა ხდება ქვეყანაზე

ციხიდან — სასახლეში!

ტაისონმა ახალი სახლი შეიძინა, მერე როგორი...

არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონს კრივში მაიკ ტაისონს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წელი ციხეში გაატარა, გარკვეული კაპიტალი ექნებოდა დაგროვილი და „შავი დღისათვის“ გადანახული. რაც უნდა იყოს, ტაისონი, ერთ დროს, ყველაზე მდიდარ სპორტსმენად ითვლებოდა არა მარტო შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში. ციხიდან გამოსულს იმდენი ფული აღმოაჩნდა, რომ არ გაუჭირდა ლას-ვეგასის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბანში დაფუძნება. არადა, ლას-ვეგასი ამერიკის კონტინენტზე ყველაზე ძვირ ქალაქად ითვლება.

მსოფლიოს ექსჩემპიონს ეს სახლი, უფრო სწორად, ძველ ფრანგულ სტილში აგებული ციხე-სიმაგრე, ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე ჰქონია შეგულებული. მისი საერთო ფართია 4160 კვადრატული მეტრი. სახლს აქვს შვიდი საძინებელი ოთახი, რამდენიმე აპარტამენტი, სპეციალური სარდაფი ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების შესანახად, დარბაზი ვარჯიშისათვის, ეზოში — ჩოგბურთის კორტი, საცურაო აუზი და სახლი სტუმრებისათვის. ყველაფერი ეს, ტაისონის ადმინისტრატორის განცხადებით, დაჯდა 3,7 მილიონი დოლარი.

ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი ჩოგბურთზე

საქართველო — დევისის თასზე

დევისის თასის (ფაქტობრივად მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი) **1995** წლის გათამაშებაში, როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს გუნდიც გამოვა. იგი, კენჭისყრით, განთესილია III ჯგუფის ევრო-აფრიკის „ა“ ზონაში ბულგარეთის, ტუნისის, მაკედონიის და კამერუნის გუნდებთან ერთად. შეჯიბრება გაიმართება **8-14** მაისს სან-მარინოში. ზონაში გამარჯვებული II ჯგუფში ასპარეზობის უფლებას მოიპოვებს, სადაც გამოდიან ლუქსემბურგი, ლიტვა, ნიგერია და პოლონეთი. ზონალურ ასპარეზობაში შედგება ერთეულთა ორი და წყვილთა ერთი შეხვედრა.

ძველების უპირატესობით

დევისის თასის ასპარეზობებში ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ჩოგბურთელთაგან ყველაზე ბევრი შეხვედრა, ბუნებრივია, ჩატარებული აქვს **60-70** წლების ევროპის საუკეთესო ჩოგბურთელს, ჩვენს თანამემამულე ალექსანდრე მეტრეველს. მის მიერ გამართული მატჩების შეფარდება ასეთია: **80-25**, აქედან ერთეულებში **56-14**, წყვილებში **24-11**. ამ მონაცემებით მეორე-მესამე ადგილებზე არიან, ასევე, ძველი თაობის წარმომადგენლები სერგეი ლინაჩოვი და თომას ლეიუსი. ხუთეულში მოხვდნენ ანდრეი ჩესნოკოვი და ალექსანდრე ზვერევი.

„დიდი სლემის“ ტურნირები

როგორც მოგეხსენებათ, წლეულს ჯერჯერობით „დიდი სლემის“ მხოლოდ ერთი შეჯიბრება გაიმართა — ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. დანარჩენი სამი ტურნირის განრიგი ასეთია:

საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. პარიზი. **29** მაისი — **11** ივნისი, საპრიზო ფონდის თანხა გამოცხადდება მოგვიანებით. ტურნირი ტარდება ღია ცის ქვეშ, გრუნტიან მოედანზე. მონაწილეობას მიიღებს **128** ჩოგბურთელი, შარშან გაიმარჯვა სერხი ბრუგერამ (ესპანეთი).

უიმბლდონის ტურნირი. უიმბლდონი (ინგლისი). **26** ივნისი — **9** ივლისი. საპრიზო ფონდის თანხა აქაც მოგვიანებით გამოცხადდება. ტარდება ღია ცის ქვეშ, ბალახის კორტებზე. **128** მონაწილე. წინა ჩემპიონი — პიტ სამპრასი (აშშ).

აშშ-ს ღია ჩემპიონატი. ნიუ-იორკი. **28** აგვისტო — **10** სექტემბერი. საპრიზო ფონდის თანხა მოგვიანებით გამოცხადდება. ტარდება ღია ცის ქვეშ. სპეციალური საფარზე. **128** მონაწილე. წინა ჩემპიონი — ანდრე აგასი (აშშ).

დიდი სლემის თასი. მიუნხენი. **5-10** დეკემბერი. საპრიზო ფონდი **6** მილიონი. შეჯიბრება ტარდება დარბაზში, სპეციალურ საფარზე. წინა ჩემპიონი — მაგნუს ლარსონი (შვეცია).

რამდენს შოულობთ, ჩოგბურთელებო?

არ არის აუცილებელი, რომ მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა სარეიტინგო მაჩვენებელი უსათუოდ შეეფარდებოდეს მათ შემოსავალს. ეს უკანასკნელი, მნიშვნელოვანწილად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ასპარეზობაში გამოდის სპორტსმენი ყოველთვიურად. ამ დღეებში პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოს ჩოგბურთის ლიდერთა ჰონორარების ნუსხა.

ვაუები: **1.** ანდრე აგასი (აშშ) — **960760** დოლარი; **2.** პიტ სამპრასი (აშშ) — **649680**; **3.** რიჰარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — **525.059**; **4.** ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — **402.564**; **5.** მაგნუს ლარსონი (შვეცია) — **365282**; **6.** ბორის ბეკერი (გერმანია) — **363293**; **7.** თომას შუსტერი (ავსტრია) — **346378**; **8.** უეინ ფერეირა (სამხ. აფრიკის რესპუბლიკა) — **344664**; **9.** ჯიმ კურიე (აშშ.) — **338449**; **10.** მიჰაელ შტიხი (გერმანია) — **310578**.

ქალები: **1.** შტეფი გრაფი (გერმანია) — **442500**; **2.** კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — **383103**; **3.** მარი პიერსი (საფრანგეთი) — **356796**; **4.** კიმიკო დატე (იაპონია) — **290385**; **5.** არანტა სანჩესი (ესპანეთი) — **288009**; **6.** ნატალია ზვერევა (ბელარუსი) — **260517**; **7.** იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) — **236853**; **8.** ლინდსეი დეკენპორტი (აშშ) — **210603**; **9.** მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — **195405**; **10.** გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — **187142**.

მარი პიერსი მწყობრშია

ორთვიანი შესვენების შემდეგ, რაც ტრავმით იყო გამოწვეული, მწყობრში ჩადგა მსოფლიოს მესამე ჩოგანი, ფრანგი მარი პიერსი. იგი მონაწილეობას მიიღებს ფედერაციის თასის კალენდარულ შეხვედრაში საფრანგეთსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას შორის.

NBA ნბა-ს ამბები

— „მეჯიკ“ ჯონსონს დიდი სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში, — განაცხადა ამერიკელი სუპერვარსკვლავის ნდობით აღჭურვილმა პირმა ლონ როზენმა.

შეგახსენებთ, რომ **35** წლის „მეჯიკმა“ პროფესიულ კალათბურთს თავი მიანება იმის გამო, რომ შიდსით აღმოჩნდა დაავადებული. ამის მიუხედავად, **1992** წელს ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე ითამაშა აშშ-ის „ოცნების გუნდის“ შემადგენლობაში და ოქროს მედალიც დაიმსახურა.

15 აპრილს „მაიამი ჰიტისა“ და რეგულარული ჩემპიონატის აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერის „ორლანდო მეჯიკის“ შეხვედრაში, რომელიც მაიამელებმა მოიგეს ანგარიშით **123:117** გამარჯვებული გუნდის მოთამაშემ გლენ რაისმა **56** ქულა დაიმსახურა და ამით გაუმჯობესა სეზონის რეკორდი, რომელიც მაიკლ ჯორდანმა დაამყარა მარტის ბოლოს „ნიუ-იორკთან“ ორთაბრძოლაში (**55** ქულა). ძველმა მიღწევამ სულ რაღაც **10** დღე იარსება. რაისმა წარმატებით განახორციელა **13** ორქულიანი, **7** სამქულიანი და **9** საჯარიმო სროლა.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე



სუმო, წლების მანძილზე, შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების, უმთავრესად კი იაპონიის პროგრამატივა იყო და პრეტენზიას მასზე, ბუნებრივია, სხვა ვერავინ აცხადებდა. **1965** წელს შედგა მისი პირველი ექსპორტი მოსკოვში. აქედან მოყოლებული იაპონური ეროვნული სპორტის ეს სახეობა ნელ-ნელა იპყრობს მსოფლიოს. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ წლეულს ოქტომბერში ვენასა და პარიზში სუმოს ყველაზე ტიტულოვანი ოსტატების ტაკანოხანას დაკემონოს ჩხვნებელი გამოსვლებია დაგეგმილი. აქედან იაპონელი სუმისტები სხვა ქვეყნების მონახულებასაც ვარაუდობენ.

სუმოს არა აქვს მაინცადამაინც დახვეწილი ტექნიკა. ამ ჭიდაობის ათვისებას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ათლეტის წონას, რომელიც ეხმარება მას მეტოქის ხალიჩიდან გაგდებაში. თუმცა, როგორც თვალსაჩინოებისა ამბობენ, არის რაღაც ტექტიკური ნიუანსები, რომლებიც ათანაბრებენ წონით აშკარად შეუთავსებელ პარტნიორთა (ფოტოზე სწორედ ასეთი წყვილია აღბეჭდილი) შანსებს.

საზონათშორისოს 5 საგზური

1996 წლის დასაწყისში უნდა გაიმართოს მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირები ქალთა და ვაუთა შორის, ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას კი წინ ეროვნული ჩემპიონატები და ზონალური ტურნირები უძღვის.

აშშ-ს ვაუთა ჩემპიონატს ზონალური ტურნირის მნიშვნელობა ჰქონდა, აქ საზონათშორისო ასპარეზობის **5** საგზური უნდა განაწილებულიყო. შეჯიბრებაში **14** მოჭადრაკე ჩაება, მათ შორის **11** დიდოსტატი, ქვეყნის უძლიერესი მოჭადრაკე. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი გატა კამსკი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო ორგანიზაციასთან სერიოზული უთანხმოება აქვს, ტურნირში არ მონაწილეობდა.

13 შესაძლებლიდან **9,5** ქულით პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა დიდოსტატმა ბორის გულკომ. როგორც გახსოვთ, იგი ადრე საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი იყო, შარშან კი მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი (პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ვერსიით). II-III ადგილები **8-8** ქულით გაიყვეს დიდოსტატებმა იასერ სერავანმა და ლარი კრისტიანსენმა, **7,5-7,5** ქულით IV-VI ადგილებზე არიან დიდოსტატები ალექსეი ირმოლინსკი, რომელიც ადრე სანქტ-პეტერბურგში ცხოვრობდა, ჯოელ ბენჟამინი და რიგიდან სულ ახლახან გადასახლებული ალექსანდრე შაბალოვი. რანან საგზური სულ **5** იყო, მათ შორის გაიმართა დამატებითი შეჯიბრება, ის „ერთი ზედმეტი“ ა.შაბალოვი აღმოჩნდა.

გაზეთის ღღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ი. სიდამონიძე, ნ. რამიშვილი, მ. ჯიღაური.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ამავე დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ჯანსუღ ბაგრატიონს დედის
ქეთევან მგალობლიშვილი-ბაგრატიონის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ამავე კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს ჯანსუღ ბაგრატიონს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თბილისის საცხენოსნო სპორტული ბაზის თანამშრომლები და ვამეხ გაჩეჩილაძის სახელობის პროფესიონალ და მოყვარულ ცხენოსანთა სპორტული კლუბის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებენ ჯანსუღ ბაგრატიონს დედის გარდაცვალების გამო.

ჭიდაობის საქართველოს ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ჯანსუღ ბაგრატიონს დედის გარდაცვალების გამო.

თბილისის სპორტის სამმართველო თანაგრძნობას უცხადებს თბილისის სპორტკომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს ჯანსუღ ბაგრატიონს დედის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ჯანსუღ ბაგრატიონს დედის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ყოფილ თანაშრომელს არჩილ მხეიძეს შვილის
ქახა მხეიძის
გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. ● დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) შედის გაზეთის ფასში.